მმა და რედაქცია
ოისი, სასახლის ქ.,
აზნაურო ქარვასლა
ომწერნი გაზეთის დასაკვე-
მართავენ რედაქციის დღის
აათამდე და საღამოს 6—7
ქ. საზ.“ წიგნის მაღაზიაში.
ოუწერავ წერილებს რე-
ჯიება არ ბეჭდავს.
ის მოლაპარაკება რედაქ-
ოთ შეიძლება ყოველდღე.
ლეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის
თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ
ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели“
тифлисъ, Дворцовая ул. д
Дворянства.
Телефонъ № 363

უკანასკნელი წარმოდგენა

ქართული თეატრი
შაბათს 27 თებერვალს
ბენეფისი
ვ. აბაშიძისა და კ. მესხისა

ქართული დრამატიული საზოგადოების დასისაგან ეფ. მესხისა, რენელისა, ქ-ნ ჩერ-
ქეზიშვილისა, ვ. გუნიასი და მთელიდასის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I
ახალი პიესა
სულთა-მხუთავი
დრამა 5 სურათად. თარგ. დ. მესხის-მიერ.

II
ოხრები
ფარსი 3 მოქ. გადმ. თ. სახოკიასი და ვ. გუნიას-მიერ.

ადგილების ფასი საბენეფისოა — დასაწყისი სწორედ 8 საათზე.
ბილეთები ამ თავითვე ისყიდება თეატრის კასაში — რეჟისორნი ვ. აბაშიძე და კ. მესხი.

უკანასკნელი წარმოდგენა

უკანასკნელი წარმოდგენა

ესწაულისა გამო შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცელი-
სა“ გამოვა სამშაბათს, 2 მარტს.

ნინო იორამის ასული, მარიამ კონსტანტინეს ასული
ია მიტაძე, და ივანე ჯაჯანაშვილები გულითადის მწუ-
ებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა
ველი შვილისასა, მეორე ქმრისა და უკანასკნელ ნიძმისასა—
ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლის
ყდენ სოლომ.-ძე ჯაჯანაშვილისას.
დარს გაასვენებენ დღეს დილის ათ საათზე კალოუბნის ეკ-
ესიაში.

ანტონ კარლის ძე ლეგრანი ამით აუწყებს ნათესავთა და
ნობთა, რომ მეორმოცე დღის პანაშვიდი გარდაცვალებულის
ელის თვისისა
რიამ პავლეს ასულის ლეგრანისა
გარდახდილ იქმნება კვირას, 28 თებერვალს კალოუბნის ეკ-
იაში წირვის შემდეგ. (1—1)

VERMOREL
nsmructeur Villefranche
ne) ვაზის შესასხურებელი
„ეკლერ“ გოგირდის შე-
ელი მანქანა „ტორპილი“.

შაბიამანი
macclesfield
ერთად-ერთი წარმომადგენელი
მთელს რუსეთისა და კავკასიისა.
ჭ. ფერდინანდოვი. ტფილისში. (10—10)

# ახალი ამბავი

*** † რაჟდენ ჯაჯანაშვილი. გუშინ, 25 თებერვალს, მცირე ხნის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისა რაჟდენ სოლომონის ძე ჯაჯანაშვილი. განსვენებული მშრომელი და სვინიდისიერი აღმასრულებელი იყო კისრად-ნადებ მოვალეობისა და თავისი ახალგაზდობა, თავისი ჯანი შეალია სათავად-აზნაურო სკოლას. სწავლა დაამთავრა ტფილისის ალექსანდრეს საპედაგოგო ინსტიტუტში და მას შემდეგ სულ მასწავლებლად იყო. სათავად-აზნაურო სკოლაში ის მსახურებდა მის დაარსების დღიდან აქამდის. განსვენებული ჯაჯანაშვილი გარდა იმისა, რომ სინდისიერი და ერთგული აღმასრულებელი იყო თავის მძიმე თანამდებობისა, არც ქართულს მწერლობას ეუცხოვებოდა. მეტადრე საყმაწვილო და საპედაგოგო მწერლობას თავისის შეძლების და გვარად ემსახურებოდა, და იგი სამსახური თვალსაჩინო და ნაყოფიერი იყო, მის მიერ შედგენილს, სხვათა შორის, არითმეტიკულ ამოცანების კრებულს ყოველი ქართველი მოწაფე იცნობს. იგი სახელმძღვანელო მთავრობისაგანაც მოწონებულ იქმნა.

დღეს, როდესაც გვამი ახლად მიცვალებულისა ჯერ არ გაცივებულა, ახალი საკითხიც იბადება პრინციპიალურის ხასიათისა ჩვენის თავად-აზნაურობისათვის: რა ვუყოთ, რითი დავეხმაროთ, განსვენებულის ქვრივ-ობლებს. კაცი, რომელმაც თავისი ახალგაზდობა, თვისი ჯანი შეალია სათავად-აზნაურო სკოლას, ღირსია მისი, რომ მისი წვრილი ობლები გარიყულები არ დარჩნენ, ეს ღვთაებრივი მოვალეობაა ყველა იმათი, ვისაც სათავად-აზნაურო სკოლების ბედ-იღბალი ჭეშმარიტად გულს ეჭიდება. დღეს პრინციპიალურად უნდა გადაწყდეს: რას უპირობს თავად-აზნაურობა თავის მუშაკებს სიბერისა, უძლურების და სიკვდილის ჟამს: გადისვრის მათ ამ დროს, აღარ შეგიძლიანთ მუშაობა და აღარც მინდიხართო... თუ გაუჩენს ლუკმას და მით თავის ღირსებას დაიცავს.

ნუ დავივიწყებთ, რომ ამ საკითხის ასეთს თუ ისეთს გადაწყვეტაზე დამოკიდებულია თვით სკოლების წარმატებაც მომავალში.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, უდროვოდ ტოლ-ამხანაგებში გამორჩეულო მეგობარო!

მიხეილ ნასიძე

*** ქართული თეატრის რეჟისორების ბენეფისი. დღეს, ქართულ თეატრში დანიშნულია ფრიად საინტერესო წარმოდგენა. ჩვენი თეატრის რეჟისორების ვ. აბაშიძის და კ. მესხის საბენეფისოდ ქართული დასი არდგენს ორ პიესას—პირველი დრამა 5 სურათად „სულთა-მხუთავი“, სადაც მთავარ როლებს ასრულებენ ჩვენი ნიჭიერი არტისტი ქალი ეფ. მესხი და კ. მესხი, ხოლო მეორე პიესაში კომედიაში „ოხრებში“ მთავარ როლს ასრულებენ ვ. აბაშიძე, გედევანოვი და სხვანი.

ეს წარმოდგენა უკანასკნელია ამ სეზონში და ბილეთები ძრიელ იყიდება.

*** ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეთა სასლოჯად გა-

მგზავრება შიო მღვიმელის მონასტერში. 24 თებერვალს ტფილისის სასულიერო სემინარიის მოწაფეები, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს ლოცვა-კურთხევით, გაემგზავრენ ღირსის მამის შიო მღვიმელის მონასტერში სალოცავად. მოწაფეებს თან გაჰყვნენ რექტორი და ინსპექტორი სემინარიისა, მასწავლებლები ბბ. ი. ა. კლიონოვი და ილ. ფერაძე. აღმზრდელები ბ-ნნი რუავენსკი და დობროგაევი. იმავე დღეს საღამოს შესრულებულ იქმნა მწუხრი და ცისკარი... მეორე დღეს 25 თებერვალს წირვა ყოვლად სამღვდელო ლეონიდის მიერ რექტორის თანამწირველობით ინსპექტორისა და სხვათა... მოწაფეებს ყოვლად სამღვდელო ლეონიდემ გააცნო შესანიშნავი ნაშთები მონასტრისა... მოკლე პარაკლისი ღირსი შიოს კუბოსთან გარდახდილ იქმნა ყოვლად-სამღვდელო ლეონიდის, რექტორის და ინსპექტორის მიერ. პარაკლისზე მოწაფეები ქართულად ჰგალობდნენ ღირსი შიოს „ოხითას“ „სიყრმიდგან ფრთოვან-ქმნილმან სათნოებითა წარმართე ცხოვრება შენი“... პარაკლისის შესრულების შემდეგ ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა მიჰმართა მოწაფეებს გრძნობით აღსავსე სიტყვით, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მათზედ. საზოგადოდ ყოვლად-სამღვდელო ლეონიდმა დიდის ალტაცებით, თანაგრძნობით და სტუმართ-მოყვარეობით მიიღო მონასტრის ზღუდეთა შორის სასულიერო სემინარიის მოწაფეები, რომელნიც თვისს მთავრობის დიდად მადლიერნი არიან, რომ შეძლება მისცა მათ ენახათ და გაეცნოთ საქართველოს დიდებული წარსულის ერთი უშესანიშნავეს ნაშთთაგანი ღირსი მამის შიოს მონასტერი, რომელიც ითვლებოდა მფარველად საქართველოს სამეფოსი. საღამოს ათ საათზედ მოწაფეები თვის უფროსებთან ერთად დაბრუნდნენ ქ. ტფილისს.

*** უწმ. სინოდის განმარტება. უწმ. სინოდის განმარტება: არც სასულიერო კონსისტორიების წესდებაში და არც სამოქალაქო კანონებში არ არის ნაჩვენები, თითქო დაქორწინების დროს საჭირო იყოს დასაქორწინებელ პირთა დაბადების შესახებ მოწმობის წარდგენა. ამიტომ კანონის ძალით არ შეიძლება ქორწინების შეჩერება იმ შემთხვევაში, როცა მეტრიკულ წიგნში ჩაწერილი არ ილმოჩნდება სასიძოს, ანუ სასძლოს დაბადება, თუ კი კანონი არ ელობება წინ არავითარი ეჭვი დასაქორწინებელ პირთა სრულ წლოვანებაზე; მით უფრო უსაფუძვლოა ასეთ შემთხვევებში გამოძიების დანიშვნა. ამასთან სინოდმა განმარტა, რომ ღერბის ფული არ შეიძლება გადახდეს მეტრიკული ამოწერილობისათვის, რომელიც მან უნდა წარადგინოს ქორწინების ნება-რთვის შესახებს შუამდგომლობასთან ერთად, ნათესაობის, ანუ თვის-ტომობის გამოსარკვევად, და რომ უსაფუძვლოა იმის მოთხოვნა, რომ დაქორწინების ნება-რთვის შესახებს შუამდგომლობაში ადგილობრივმა სამღვდელოებამ აღნიშნოს ის მიზეზები, რომლებსაც ქორწინება გამოუწვევიათ.

*** ყეენობა. დიდმარხვის ორშაბათს ტფილისში ყენობისთვის ემზადებიან ქალაქის სხვა და სხვა უბანში და გამოვლენ ჩვენი ჩვეულებისამებრ. ყოველ ქვეყნებში ამგვარი ჩვეულებაა, ევროპაში კარნავალი რუსეთშიაც ყველიერის კვირაში ამგვარებია. ჩვენში, ამას ზოგი ცუდი თვალით უყურებს რა არის ამაში ცუდი? ხალხს დროს გატარება ეჭირვება.

*** თ. ზ ლაკერბაიას საქმე. 23 თებერვალს ქ. ტფილისის სამოსამართლო პალატამ გაარჩია თარხან ზაალის ძე ლაკერბაიას საქმე, რომელსაც უჩივოდა მელიტონ ჩხოტუა რევოლვერის სროლას. პალატამ გაამართლა ლაკერბაია, რომელსაც მისჯილი ჰქონდა ქუთაისის ოლქის სასამართლოსაგან ღირსების ახდა და ერთი წლით დაპატიმრება

*** ფულის გადადება სკოლისათვის. კავკასიის სამეურნეო საზოგადოების რჩევამ ნება დართო მიეცეს ტფილისის საბაღოსნო სკოლას მისი საჭიროებისათვის 1,100 მ., იმ პირობით, რომ ეს ვალი სკოლამ გადაიხადოს.

*** მასწავლებლის მოწვევა. ტფილისის საბაღოსნო სკოლის საზოგადოებამ მიიწვია ბუნების-მეტყველების მასწავლებლად სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელი ვ. პ. კოლესნიკოვი.

*** ხელოსანთა ამქრების ყრილობა. დიდმარხვის 1 კვირაში საბჭოს სხდომების დარბაზში მოხდება ხელოსანთა ამქრების ყრილობა ხელოსანთა გამგეობის 1898 წლის ხარჯთა-აღრიცხვის განსახილველად და იმავე ყრილობის შარშანდელ დადგენილების გადასასინჯავად ხსენებულ გამგეობის მოსამსახურე პირთა ჯამაგირის შემცირების შესახებ.

*** „მოამბე“ № II. ჩვენ მივიღეთ ჟურნალ „მოამბის“ მეორე ნომერი შემდეგის შინაარსისა: I—„იოსებ-კაიფა“- -ისტორიული ამბავი ვ. ბარნოვისა. II—„გარიბალდიელები“—ისტორიული რომანი ვიტორიო ოტოლინისა, თარგმანი. III—„როგორ მოიარეს ამსტერდამი გერრიტ მევსენმა და მისმა შვილმა გაისმა?“—იაკობ-იანკრემერისა, თარგმანი ივ. ზურაბიშვილისა IV—„წარსულიდან—სკოლაში წასვლამდის—მოთხრობა ს. მგალობლიშვილისა (გაგრძელება). V—„გლეხი-კაცის ისტორია“—ნაწილი მეოთხე, ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა (გაგრძელება). VI—„არჩილ ბატონიშვილის მიწერ-მოწერა“—ეზოვის წიგნიდგან. VII—„სამეგრელო-სვანეთის სამთავროთა გაუქმება.“—კ. ალ. ბოროზდინისა, თარგმანი თ. სახოკიასი. VIII—„პროფესსორის ზომბარტოს აზრი მეცხრამეტე საუკუნის სოციალურ მოძრაობაზედ“. —ლ—ძესი. ქრონიკა: „IX—შინაური მიმოხილვა“. X—„უცხოეთის მიმოხილვა“. სალაყბო: XI—„უსაფუძვლო რისხვა“.—იაძესი. XII—„ახალი სნეულებანი და მათი წამლობა“.—ჰიპპოკრატისა.

*** ს. მამათი (გურია) ორი ეკკლესია ერთ სოფელში. ვიდრე 1861 წლამდე მამათის წმ. მოციქულის იაკობის ეკკლესიაზედ იყვნენ მოწერილნი ორი ეკკლესიები, კონჭკათის და ძეგორისა, მაგრამ კომისიამ, რომელსაც ჰქონდა მინდობილი სასულიერო მთავრობისაგან, წესში მოყვანა შტატებისა, (ამ დრომდე გურიაში არ იყო შემოღებული შტატის წყობილობა) ადგილ-მდებარეობის მიხედვით საუჯკობესოთ სცნო კომისიამ და ორი ზედ მიწერილნი ეკკლესიები გააუქმა და ნაცვლად დანიშნა საეკკლესიო ადგილი ს. იდოურში, სადაც არის დღეს აშენებული შტატის ეკკლესია მთავარ-ანგელოზის სახელზედ. მამათის ეკკლესია დასტოვა ერთ შტატათ იქ, სადაც იდგა და არის დღესაც თავისი შესაფერი მრევლით, რაოდენიმე კომლი კონჭკათელები (30 კომლამდეა) სიახლოვის მიხედვით მოაწერა მამათს (ს. კონჭკათი უძევს მამათს სამხრეთით სიშორით ორს ვერსტამდე). კონჭკათელებმა იმ თავითვე აღძრეს ამ საგანზედ საჩივარი, მაგრამ როგორც ადგილობრივ გამოძიებით დამტკიცდა, უსაფუძვლო იყო მათი თხოვნა, უყურადღებოთ დასტოვა მთავრობამ, ისინი დღესაც ირიცხებიან მამათის მრევლათ., მარტო კონჭკათელები, რომ ვერას გახდენ, სხვა ხერხი მონახეს, ზოგიერთ გაიძვერა ვაჟბატონების შემწეობით შეაგონეს რამოდენიმე პირს მამათელებს, რომ თუ ისინი თხოვნაზედ
ხელს მოუწერენ ზედმიწერი
ეკკლესიის აღშენებაზედ, ეს იქ
მხოლოდ მთავრობის წინაშე
გასამრავლებლად, თორემ არ
თარ ხარჯს ისინი არ სთხოვენ
ნაირი ოინებით მოსტყუვდნენ
გიერთნი და მოუწერეს ხე
თხოვნაში კი ასე იყო ნათხოვ
თუ იმათ მიეცემოდათ ნება
მიწერილი ეკლესიის აღშენებ
პირობას სდებდნენ მათ თხო
შივე, შტატსაც არ მოაკლებ
ჩვეულებრავ შემწეობას. აი ამ
ფუძეელზე მიეცა მათ ნება
1893 წელში აღიშენეს კიდეც
ეკლესია. მამაიის და კონჭკა
საზღვარზე (2 ვერსამდეა შტა
ეკლსია გარეგანი შეხედულებით
მცა წაავავს ეკლესიას, მაგრამ
რომ შებრძანდებით დაინახავთ
რიელ ფიცრულის კედლებს,
კელის მაგივრათ თითო-ორო
ნახატებს მიკიდულს კედლებ
სხვას ნურას იკითხავთ შესამოს
და სხვა ეკლესიური სამკაუ
ისიც დროებით ნათხოვა
თ. გუგუნავას კარის ეკლ
იდან. აღარ მოიგონეს, თავი
თი პირობა, რაკი ეკლესია ა
შენეს, ზედმიწერილთ აო იკმა
და ითხოვეს მათი გაშტატება,
რომ მამათის მკვიდრთ გაიგეს
ლისხმეს შტატის ეკლესიის
ცირება და წინააღმდეგი გაუხ
კონჭკათელებს, ითხოვეს უწმ.
ნოდში, უარი ეყოთ კონჭკა
ლებისთვის, ვინაიდან ყოფ
შტატის ეკლესია ერთობ მ
დებოდა და მათ არ შეეძლოთ
სი რიგიანი მოვლა. ორივე მხა
თხოვნა განხილულ იქმნა და რად
უსაფუძლოთ იცნო მთავრო
კონჭკათლების თხოვნა, უარი
შესახებ კონჭკათის ეკლესიის
შტატებაზედ. განკარგულება
თი გუბერნატორის საშუალ
გადმოეცა გამოსაცხადებლად
სულის წლის დეკემბრის თე
ადგილობრივ სოფლის მამასახ
კოხელ

*** ს. გორდი (სამეგრელ
სწავლა-განათლებას საქმე და მ
გამენა. ს. გორდი მდებარეობს
ცხენის წყლის მარჯვენა ნაპირ
მაღალი მთის ძირში და უქ
მთაგორიანი ადგილი. აქ არის მ
ნიერი ჰავა და ცივი ანკარა
როები. ნიადაგი ქვიანია, მაგ
მოსავალი საკმარისად მოდის.
ბოლო დროს ს. გორდში
სიმდიდრე-მადნეულებაც ბევრ
მოჩნდა, რაც ბევრ სიკეთეს
დის ს. გორდს შემდეგისათვ
გორდის საზოგადოება შესდგ
6—7 სოფლებისაგან ათას
მლამდე მცხოვრებლებით. იქ
იფიქროთ, ასეთს საზოგადო
სწავლა-განათლება უთუოდ გა
ცელებული იქნებაო. სრულ

...ველა საზოგადოებაზე ჩამო-
...ლია ამ მხრივ. არ არსე-
...რც სამკითხველო და არც
...ამე სასარგებლო დაწესებუ-
...ს. გორდში არსებობს ერთ-
...ანი სამინისტრო სკოლა.
... ვაი ამისთანა არსებობას!
... მოთავსებულია სოფლის
...ოლოს ერთ ვიწრო ოთახ-
...მელიც სივიწროვის და უსი-
...ბის არ აკმაყოფილებს „პედა-
...ის“ და „ჰიგენის“ მოთხოვნი-
... მოსწავლეების რიცხვი
...ოცამდეა, მაგრამ სად არის
...მოსათავსებელი სკოლის შე-
...ბევრს გაჰყავს თავის შვი-
...ადგილობის გამო. ერთ კლა-
...ასწავლებელი და ისიც მოუ-
...ლი, აბა რას დააკმაყოფი
...ათას კომლ მცხოვრებლებს
...ც მეცხრამეტე საუკუნის
...ულში?!.. (ს. გორდი მოშო
...ია ქალაქებზე). ვინ იცის,
...ი ბავშვი რჩება ბნელეთში,
...ელოის გამო! მკითხველი
..., მაშ საჭირო ყოფილა ორ-
...ნი სასწავლებელიო? კი ბა-
... საჭიროა ორკლასიანი სა-
...ბელი, რომელიც ცოტაოი
... დააკმაყოფილებს სწავლის
...ლთა სურვილს. მაგრამ ამი-
... კეთილი საქმის გაკეთება
... რომ ადვილია, აქ შეუძ-
...ია. აქ ორჯელ ბრძანდებო-
...სახალხო სკოლების ინსპექ-
...შესახებ სკოლის შენობის
... და ორკლასიანად გადაკე
... მაგრამ რა გააკეთა? ვერა-
...რატომ? რამ შეუშალა ხე-
...გახსენებთ: ხშირად არიან
...თ საზოგადოებებში თითო
... ბობოლები და ჩვენი
... მკლავაძენი, რომლებიც
...ს საშვალებით, მკლავის ძა-
... ან სხვა რაიმე ცბიერე-
...ლიან კაცს კეთილი საქ-
...ეებას. აი ამ გვარი ბო-
... და მკლავაძენი არიან
...იაც, მაგრამ აქ იმათი რიც-
...გიონია და ისინი ხომ ერ-
...ების მიმართულების არ
... იმათ გუნდში შეხვდებით
... წოდების და ხელობის
...აირია მონასტერიო რომ
..., სწორედ ეგ გორდზე ით
...ები არ ხდება ს. გორდში!
...ბობოლა მკლავაძეთაგანი
...ბს ხალხს: რომ ორკლა-
...სწავლებლის დაარსებით
...ოების მოემატება ყოველ
...ასახადზე კიდევ ათას ხუ-
...თით, სკოლის შენობის
... მთავრობა არ შეგვეწევაო,
...ეუყურლებსო და შემდეგ
... ბედაგვახდევინებენო და
... მათგანი ასე უქადა.
...ხს. რათ გინდათ სამინი-
... სკოლა, როდესაც სასუ
... მთავრობა თავის ხარჯით

გვიხსნის სამრევლო სკოლებსო. თუ ერთ მკლავაძეს არ მოეწონა მეორის აზრი და რჩევა ან თუ ის „მე“ და „შენ“-ნობას ეტანება, მაშინ ის შოულობს პარტიებს და მისი საშვალებით გაჰყავს თავისი სასურველი აზრით მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე მკლავაძე თავის მეზობლის ოფლით და ტანჯვით ნაშოვარ ქონებას ართმევს. ცარცვა გლეჯა გახშირებულია გორდში.

წარსულ წელში თ. სამეგრელოის მებაღეს ბ. ვ. ზამბერლენტს ღამით თავს დაესხა მკლავაძეთა გუნდი, მაგრამ რადგან მებაღე ვაჟკაცურად დაუხვდა იმათ, მკლავაძენი წავიდნენ უბურმარილოდ და უპატივცემულოთ. წარსულ 98 წ. ნოემბრის თვეშიაც ბრძანდებოდა ბ. ინსპექტორი სკოლის თაობაზე, მაგრამ კიდევ წყლის ნაყვა გამოვიდა. ჩვენმა ბობოლ-მკლავაძეებმა თავისი გაიტანეს და სკოლა კი ისევ გაჭირვებულ მდგომარეობაში დარჩა მასწავლებელ მოსწავლეებითურთ. ჩვენ სრული იმედი გვქონდა ახალი მამასახლისისა, რომელიც ასე თუ ისე განათლებულ კაცად არის ცნობილი და რომელიც განგებ იყო მთავრობისაგან ამორჩეული, როგორც ნასწავლი და გამოცდილი კაცი, მაგრამ იმან ჯერ ჯერობით ვერაფერი ყურადღება დაიმსახურა საზოგადოებისაგან, ის ისევ ძველების გზას მიჰყვება... იმედია ახალი მამასახლისი ბ. რ. ქართსანიძე აწი ენერგიულად შეუდგება მისდამი რწმუნებული საზოგადოების მართვას და ეცდება გადააკეთებინოს ხალხს უნუგეშო მდგომარეობაში მყოფი სკოლა ორკლასიანად, რითაც დაუვიწყარი იქნება მისი მამასახლისობა საზოგადოებაში. რაც შეეხება აქაურ მასწავლებელს, ის შეძლებისამებრ მუყაითად ასრულებს თავის მოვალეობას, მაგრამ რა უნდა ქნას საწყალმა ცხვარმა მგლების ხროვაში!..

ბუ-ბუ.

## სამკურნალო ცნობა

სიფილისი და მისი გადამდებლობა. ჩვენ მრავალის მაგალითებიდგან ვიცით, რომ ბევრი ოჯახები დაღუპულა სიფილისის ავადმყოფობით, რომლის უმთავრესი მიზეზნი ძიძები და მათი მოსამსახურენი ყოფილან. გრაციანსკი ამბობს: „თუ ოჯახში სიფილისით ავადმყოფი მოსამსახურე იმყოფება, იმ ოჯახში უეჭველად სიფილისი დაიბუდებსო“. ამ გვარი სენის თავიდგან აცილება მეტად ადვილია, მაგრამ ჩვენი დაუდევარი ხალხი ყურადღებას არ აქცევს და ძალა-უნებურად აბამს თავს მახეში; ვიდრე მდიდარი მოსამსახურემ ექიმის მოწმობა არ მოიტანოს, რომ სიფილისით ან სხვა გადამდები ავადმყოფობით ავად არ არის, მანამდის არ დაიჭიროს, როგორც საზღვარ გარედ ხალხმა იცის. სიფილისი ადამიანს ტანისამოსიდგანაც ედება და განსაკუთრებით შიგნითა საცვლებიდგან. აი ექიმი გრაციანსკი რა შემთხვევას მოგვითხრობს: ერთხელ მასთან მივიდა სამკურნალოდ 16 წლის ქალი მშვენიერი წარმოსადეგი ტანისა და სრულიად სადის შეხედულობისა, ქალი მკერვალი იყო. როდესაც გასინჯე ქალი, სიფილისით ავადმყოფი გამოდგა, როგორც გამოკვლევამ დამარწმუნა, ქალი ქალწული აღმოჩნდა და მეტად დამაინტერესა მისმა გარემოებამ. ქალის სიტყვით, მას ეცმოდა თავისი ამხანაგის ქალის საცვლები, რომელიც სიფილისით ყოფილიყო ავად და სხვათა ასოს გარეშეთ დაჩირქებული მუწუკები ჰქონოდა, რომლებიც დარწყულდა და სიფილისის შხამი საცვალზედ გადასულიყო და შემდეგ საბრალო უმანკო ქალს ჩაეცა და მაშინვე მოსდებოდა.

ამ გვარად შეიძლება სრულიად უმანკო ადამიანი სიფილისის მსხვერპლად გახდეს, თუ რიგიანი ყურადღება არ იქონია თავის თავზედ და არ ერიდა სიფილისიანთან დახლოვებას. ხშირად სად ადამიანს აბანოში ბანაობის დროსაც ედება სიფილისი. ის აუზი, რომელშიაც სიფილისიანმა იბანავა, თუ არ გაიწმინდა წყალი და შიგ სადი ადამიანი ჩავიდა საბანაოდ, ადვილი საფიქრებელია გადაედოს, ან კიდევ მეაბანოებმა იციან ჩარსავის მირთმევა, ან პირსახოცის, რომლითაც ის იყო სიფილისიანმა შეიწმინდა ტანი და პირი. როდესაც ადამიანს ზედა კანი გაფხაჭნილი აქვს და სწორედ იმ ადგილს ეცხობა შხამი, მაშინ უფრო დიდის სისწრაფით გადადის სიფილისი სადი ადამიანის სხეულში. ექიმების გამოკვლევით, ტფილისის აბანოების წყალს ისეთი განსაკუთრებითი თვისება თურმე აქვს, რომ სიფილისის მიკროორგანიზმებს ხოცავს და გადამდებლობის თვისებას უკარგავს, თუმცა აქაც სიფრთხილეა საჭირო.

ივ. კავთელი.

## ყურმოკრული საუბარი

— ერთი მითხარი, რა გასწავლეს შენ მზარეულობის კურსებზედ? შენი ნაკეთები არაფერი არ იჭმება.

— ჩვენ იქ საჭმადის კეთებას საჭმელად კი არ გვასწავლიდნენ.

— მაშ რისთვის გასწავლიდნენ?

— დიპლომის მისაღებად,

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

24 თებერვალი

**პეკინი.** რუსეთისა და საფრანგეთის ელჩებმა გააგებინეს ცუნგლი-იამენს, რომ აზრად გვაქვს ჩვენი ზღვის ჯარის-კაცნი წავიყვანოთ აქედგან, რომელნიც აქამდის საელჩოებს სდარაჯობდნენო. ჩინეთის მთავრობა სცდილობს დაიყოლიოს ევროპის ყველა სახელმწიფო, იმათაც წაიყვანონ თავიანთი ჯარის კაცნი. ამერიკის ზღვის ჯარის კაცებმა ბრძანება მიიღეს, — წამოდითო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. იმ კითხვაზედ, როგორი წესია დადებული ინგლისის გემებისათვის, რომელთაც ტალიენვანის ნავთ-სადგურში შესვლა უნდათო, ბროდრიკმა სთქვა: „რადგან აღიარებულია, რომ ეს ნავთსადგური ღია უნდა იყვეს უცხო ქვეყნების ალებ მიცემობისათვისო, იმ სახელმწიფოების წარმომადგენლებს რომლებმაც ხელშეკრულობა დასდეს ჩინეთთან, ცხადია, ფორმალურად უნდა ეცნობოს ეს: მაგრამ ეს მხოლოდ მას მერმედ მოხდება, როცა ამ ნავთსადგურში დამოჟნა დაარსდება, როგორც სხვა ნავთსადგურებში, რომლებიც ხელშეკრულობის ძალით ღია არის ყველასათვის. ეს რამდენიმე ხანია, რაც მთავრობას ცნობები მოსდის, რომ ლონისძიება არის მიღებული საერთო გამგეობისა და ტალიენვანში დამოჟნის დაარსების შესახებო; ამასთანავე, რუსეთის მოხელეებმა სადამოჟნო ბაჟი უნდა აილონ ხოლმე ჩინეთის მთავრობისათვის ჩინეთის ტარიფის მიხედვითო“. ბროდრიკს შეძლება არ აქვს რაიმე სთქვას იმის შესახებ, თუ რუსეთის წესებს ნაოსნობის შესახებ როგორი ზეგავლენა ექმნება ტალიენვანის ნავთსადგურის მდგომარეობაზედ. ამ ახლო ხანს პეკინიდგან მიღებულ დეპეშიდგანა სჩანს, რომ ჩრდილოეთ რკინის გზის შესახებ რუსეთის ელჩმა წინააღმდეგობა განაცხადა იმისა, რომ ევროპიელთაგან ინგლისის ინჟენერები და მოანგარიშეები იქმნან დანიშნული ამ გზაზედ და ეს იმით დაასაბუთა, რომ ასეთი ნებართვა წინააღმდეგია რუსეთისა და ჩინეთის შორის დადებულ ხელ-შეკრულებისაო. ამის გამო ინგლისის მთავრობამ მისწერა მაკდონალდს, განაცხადოს, რომ არც ერთი ამ მუხლთაგანი უცხო ქვეყნის კონტროლს არ აარსებს ხსენებულ ლიანდაგებზედაო.

**პეკინი.** ეჭვს გარეშეა, რომ ჩინელებმა წინადაც იცოდნენ, რის შექმნაც უნდოდათ იტალიელებს. ამბობენ, რომ ვითომც ინგლისის ელჩს ცუნგ ლი-იამენისათვის ნოტა გაეგზავნოს, რომლითაც იტალიის მოთხოვნილებას მხარს აძლევს. იაპონელები სრულიად არ ერევიან იმათს საქმეში იმა, თუ როგორ ეპყრობა ჩინეთი იტალიის

მოთხოვნილებას და აგრეთვე ჩინკიანგის რკინის გზას, მოწმობს, რომ ქვრივ იმპერატრიცის უკანასკნელმა ბრძანებამ, რომელშიაც ნათქვამია, რომ საჭირო არისო უცხო ქვეყნების ზეგავლენას დიდი წინააღმდეგობა გავუწიოთო, კარგად გასჭრა. ჩინეთის წყაროებს თუ დავუჯერებთ, იტალიის მოთხოვნილების დაუკმაყოფილობის მიზეზი სხვებზედ უფრო ჩანგ-ი იყო.

**რომი**. გაზეთს „Tripnnas“ დეპეშით სწერენ ლონდონიდგან: „ლონდონში მყოფი ჩინეთის ელჩი მიდის აქედგან დღეს საღამოთი ან ხვალ დილით“.

**რომი** ჰფიქრობენ, რომ ჩინეთს განზრახვა აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს იტალიის მოთხოვნილებას თვისის მოქმედებით, რადგანაც ჩინეთს არ უნდა შეიწყნაროს იტალიის ვითარება სანმუნში.

„Tribuna“ ჰფიქრობს პეკინში, მყოფი იტალიის ელჩი გამოჰგზავნის დეპეშას და შეგვატყობინებს, რომ ჩინეთმა ბოლოშიც მოითხოვა და დასთანხმდა კიდეც იმ კონცესიებზე, რომლებსაც ვთხოვდით. „ევროპის ყველა სახელმწიფონიო, —ამბობს გაზეთი, მიუხედავად იმისა, მეგობარი იქმნება ჩვენი, თუ არა, მოწადინებული უნდა იყოს, რომ ნაპერწკალმა ცეცხლი არ გააჩინოს“.

**რომი**. იტალიის სამხედრო გემები „მარკოპოლო“ და „ელბა“ ჩიფუს არიან; „ამერიკო“ და „ეტნა“ გონგკონგში მიდიან; ერთი ანამთან არის ეხლა, მეორე ბატავიაში მივიდა. სამხედრო გემი „სტრომბოლი“ ვენეციიდგან ჩინეთში მიდის. ყველა ამ გემებზე 1583 კაცია, 50 ზარბაზანი დიდის ზომისა და 68 პატარასი.

**იოკაჰამა**. გუშინ, დილით, ძლიერი მიწის ძვრა მოხდა იმ ადგილებში, რომელიც მიწის ძვრისაგანვე დაზარალდა 1891 წელს. რამდენიმე კაცი დაიღუპა. ზარალი ძლიერ დიდია.

**პარიზი**. პრეზიდენტმა ლუბემ გადასწყვიტა გენერალი ბალიუ ისევ დარჩეს პრეზიდენტის მთავარ მდივნად. მიზონი დანიშნულ იქმნა სომალიის ნაპირის მმართველად; ლაგარდი მხოლოდ მენელიკთან იქმნება ელჩად.

**ლონდონი**. საზოგადოებათა პალატა. ბროდრიკმა განაცხადა, რომ საფრანგეთის მთავრობას უნდოდა აელო მასკატის სულთანისაგან კონცესია ერთის ადგილისა და უფლებაც ჰქონიყო ამ ადგილას საფრანგეთის დროშა აემართა და ციხე-სიმაგრეები გაეშენებინა. ეს მოთხოვნილება ეწინააღმდეგებოდა 1862 წლის ხელ-შეკრულობას და იმ საგანგებო ვალდებულებას, რომელიც სულთანმა იკისრა ინგლისის წინაშე. მთავრობა არა ჰკიცხავდა იქ მყოფ ბრიტანიის აგენტის მოქმედებას. ეს აგენტი ისე იქცეოდა, როგორც მთავრობა უბრძანებდა. დელკასეს არა ერთხელ განუცხადებია, რომ მე არაფერი ვიცი შესახებ იმისა, ვითომ საფრანგეთმა იქ ადგილი შეიძინაო. სჩანს, აგენტი სხვაფრივ ვერ მოიქცეოდა და 1862 წლის ხელშეკრულობის თანხმად უნდა მოქცეულიყო, საფრანგეთს შეუძლიან მოითხოვოს ადგილი ნახშირის სწყობისათვის და არა კონცესიისთვის.

25 თებერვალი

**პარიზი**. გამომძიებელმა პაკმა ჩვენება ჩამოართვა მოწმეებს გაბერისა და დერულედის საქმის გამო, პარასკევს უკანასკნელად ჩამოართმევს ჩვენებას ბრალდებულთ და შაბათს დაამთავრებს საქმის გამოძიებას.

პალატა. საერთო განხილვაა სამხედრო ბიუჯეტისა. ემონი ამტკიცებს, რომ სამხედრო ბიუჯეტი ავიდა 875 მილიონამდე, მაგრამ ბიუჯეტის შემოკლებაზე ფიქრიც არ შეიძლება, რადგანაც სახეში უნდა ვიქონიოთ, გერმანიის შეიარაღება და ჩვენც ისე გავაძლიეროთ ჯარი, როგორც გერმანია აძლიერებს: ორატორი სწუხს, ქვეითა ჯარი სუსტი გვყავს, რადგანაც ძლიერ ბევრი ჯარის კაცი მხოლოდ ერთს წელიწადსა რჩება სამსახურში. ფრეისინე ამბობს, თანახმა ვარ, რომ საფრანგეთის ქვეითა ჯარი სუსტია გერმანიის ქვეითა ჯართან შედარებით, მაგრამაო, სთქვა ფრეისინემ, რაგაეწყობა, ისიც უნდა ვიკმაროთ და ვიქონიოთ სახეში ჩვენის ქვეყნის მცხოვრებთა რაოდენობა, მაგრამაო, დასძინა ფრეისინემ, როცა სახელმწიფოს სამხედრო ძალა თან და თან ძლიერდება, ბოლოს იქამდე მიახწევს, რომ რაც ჯარი მიუმატოთ, იმაზე უფრო ველარ გაძლიერდება (ტაშის ცემა). ძნელი იქნება ომის დროს იმაზედ მეტის ჯარის გაყვანა ბრძოლის ველზედ, რამდენ ჯარის გაყვანაც ეხლა შეუძლიან ამა თუ იმ სახელმწიფოს ფრეისინე ამბობს, არა მგონია, რომ ჯარის მომეტებულ რაზმებს შეეძლოს სახელმწიფოს სამხედრო ძალა განაძლიეროს (სხვადა-სხვა ხმები). ასეთი რაზმები წარმოადგენდა მხოლოდ სათადარიგო ჯარს. მინისტრი დარწმუნებულია, რომ თუ ომი მოხდა, იგი უფრო მალე გათავდება ვიდრე სახელმწიფო სათადარიგო ჯარს გამოიყენებს. „ამიტომ არ უნდა შეგვაწუხოს იმ გარემოებამ, რომ ჩვენი მეზობელი ჯარს უმატებს. ჩვენ ის უნდა ვიზრუნოთ, რომ რაოდენობას გვერთ ამოვუყენოთ ჯარის ღირსება. (ტაშის ცემაა). მე თავი მომწონს საფრანგეთის იმითი, როგორ გამაგრდა საფრანგეთი საგერ ომისათვის უკანასკნელ 15 წლის განმავლობაში. ამ ჟამად ჩვენ ვზრუნავთ ჩვენის თოფების გადაკეთებისათვის, რის გამოც ჩვენს თოფებს ვერავის თოფები ვერ შეედრება. რაც შეეხება ჩვენს არტილერიას, მე ვამტკიცებ, რომ არც ერთს სახელმწიფოს არტილერია ვერ შეედრება იმას (ტაშის ცემა), ამიტომ ერს შეუძლიან იმედითა და ნდობით შესცქეროს მომავალს. ვეცადნეთ დავიცვათ წესიერება ჩვენს ჯარში იმითი, რომ ვიზრუნოთ იმისთვის და უფროსნი სამართლიანად ექცეოდნენ უნცროსებს (ტაშის ცემა). საჭიროა, რომ ჯარი მზად იყოს ყოველგვარ შემთხვევისათვის და შეგონებული ჰქონდეს თავისი დანიშნულება. ჯარი მხოლოდ მაშინ არის ... როცა ყოველ დღე მზად არ... უკიდურეს მსხვერპლისათვის. რ... შემეხება მე, ვეცდები. რომ ჩვე... ჯარს მუდამ შეეძლოს თვისის ... ნიშნულების ასრულება და ღ... სეული ადგილი ეჭიროს (ხან... ლივი ტაშის ცემა).


# განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა...

ყველა ცხენის პატრონთა ... ყურადღებოდ აცხადებს, რ... რადგან ამა წლის 1-ლ მარ... ვადა გაუდის 1899 წლ. საც... ნო გარდასახადის შეტანას ... რიმის გადაუხდელად, ამის გა... ეს გადასახადი მიიღება ქა... ქის კასსაში შემდეგს უქმე დ... ებშიაც: შაბათს, 27-ს და ... რას, 28 თებერვალს დი... 10 საათიდგან, ნაშუადღევის... საათამდე. (3—1...

1899 г. Годъ третій 1899...

Открыта подписка на 1899 г. на

# Новый журналъ Иностр. Литератур...

## ИСКУССТВА и НАУКИ.

**ервое въ Россіи**

общедоступное иллюстрированное ежемѣсячное издан...

(Вдвое больше лучшихъ заграничныхъ иллюстрированныхъ е... мѣсячниковъ)

| 12 книгъ—4 большихъ тома. Болѣе 1,500 иллюстрацій на лучшей бумагѣ. | **1899** | На годъ 4 р. Съ доставкой и перес. 5 р. На ½ года 2 р. 50 к. Съ дост. и перес. 3 р. |
|---|---|---|

«Новый Журналъ ностранной Литературы» поставилъ себѣ задачей въ ... можно большемъ кругу усской читающейпублики пробуждать и подд... вать интересъ къ тому, что можетъ доставлять интеллектуальное удовол... своей поучительностью и занимательностью вь области литературы, иску... и различныхъ отраслей знанія. Почерпая изъ такого богатаго источника т... ко новое и выдающееся, оригинальное и характерное, «Новый Журналъ ... странной Литературы» старается давать ясное и точное понятіе о результа... умственной дѣятельности ы общественной жизни за границей, о томъ ф... міровой культуры, ея идей и стремленій, который долженъ быть предме... любознательности и вниманія для всѣхъ мыслящихъ и интеллигентныхъ лю...

съ этою цѣлью „Новый Журналъ Иностранной Литератур... печатаетъ:

1) Избранныя сочиненія знаменитыхъ писателей и наил... шія изъ производеній новѣйшей беллетристики.

2) Статьи, этюды и очерки о всевозможныхъ сюжета... такъ или иначе касающихся современности или представл... щихъ общій интересъ въ отношеніи литературномъ, худож... твенномъ и научномъ. Большинство этихъ статей—вовсе не... реводы, а излагаются примѣнительно къ потребностямъ р... каго читателя.

3) Всѣ статьи, по своему содержанію допу кающія ил... трированіе, сопровождаются **многочисленными х жественно и... ненными рисунками и автотипическими репродукц и.**

Всѣ болѣе или менѣе крупныя произведенія печатаются съ особо... мерацiей страницъ и могутъ бытьсохраняемы отдѣльными томами.

Помимо статей съ иллюстраціями современнаго интереса и заним... го содержанія, литературныхъ, научныхъ и художественныхъ, иллюстр... ной заграничной хроники (на современныя темы; изъ прошлаго; литерату... художественныя и научныя новости; изъ артистическаго міра; изъ иностр... журналистики мелочи), въ 1899 г. съ январской книги будутъ печат...

**Юмористическіе разсказы Уэллься**

(автора романа «Борьба міровъ», напечатаннаго въ „Нов... **Журналѣ Иностранной Литературы** 1898 г.)

Неизданныя произведенія ДИККЕНСА.

Цвѣты, плоды и шипы или брачная жизнь, смерть и свад... адвоката бѣдныхъ Зибенкейза.

Романъ **Жана Поля Рихтера**. (12—1...


Дозволено цензурою. Тифлисъ 26 Февраля 1899 г. სტ. „ძნ. ფურც.“ (ვ. ბუნიასა), რედაქტორ-გამომცემელი ვ. ...